ოქმი:**ო02.37222381**

თარიღი:**26/08/2022**

ოქმი № 18

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 24 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ტ. აროშიძე, თ. ტუღუში, დ. მდინარაძე, თ. ნიკოლაშვილი, ნ. მახარაძე, ალ. ღლონტი, გ. კილაძე, ვლ. ხავთასი, ბ. ქათამაძე.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის ადმინისტრაციული ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: ი. ანდღულაძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის განთავსების წესებისა და გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: პ. კალანდაძე

3. კომისიაში შემოსული კორესპოდენციის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ, კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის საკურორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით აუცილებელია დაგეგმარების კონცეფციისა და შემდგომში განაშენიანების გენერალური გეგმის დამტკიცება. უშუალოდ სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციაზე კომისიის წევრებს ესაუბრა თანამომხსენებელი ი. ანდღულაძე. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მოიწონეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის ადმინისტრაციული ერთეულის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი საკრებულოს განკარგულების პროექტი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე თანამომხსენებელმა პ. კალანდაძემ კომისიის წევრებს მოახსენა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური მუშაობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეკლამის განთავსების წესების, ადგილების გამოყოფის და გეგმის შემუშავების მიზნით და სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები უახლოს ხანში წარმოდგენილი იქნება საკრებულოში. კომისიის წევრებმა ინფორმაცია მიიღეს ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო ქ. ოზურგეთის N 4 საჯარო სკოლიდან შემოსული წერილი, რომელშც ითხოვდნენ სკოლის წინ მდებარე ქუჩაზე ტრანსპორტის მოძრაობის 8.00 საათიდან 18.00 საათამდე შეზღუდვას. კომისიის წევრებმა გადაწყვიტეს წერილი გადაუგზავნონ მუნიციპალიტეტის მერიას (ა. თალაკვაძე) რეაგირებისათვის.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1 საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

2. N2 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

3. კომისიაში შემოსული წერილი გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას (ა. თალაკვაძე) რეაგირებისათვის.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი